

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

სამუშაო შეხვედრა

შეხვედრის ოქმი #4

ქ. თბილისი

08.12.2023

2023 წლის 08 დეკემბერს, Zoom პლატფორმის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები. შეხვედრა წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი 1, დანართი 2).

შეხვედრა გახსნა ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა. იგი მიესალმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, მაღლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისთვის და გააცნო წარსადგენი საკითხები. აღნიშნა, რომ მიმდინარე შეხვედრა იყო წლის ბოლო საკოორდინაციო სხდომა და მასზე განიხილებოდა ცენტრის სტრატეგიის მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა, პროფესიული განათლების ევროპული ასოციაციაში წევრობის საკითხი, თემატური ანალიზის შედეგები სამწლიან თვითშეფასების ანგარიშებზე, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენენ როგორც ავტორიზაციის, ასევე აკრედიტაციის ფარგლებში. მან აღნიშნა რომ ამ ანგარიშებზე გაკეთდა საინტერესო თემატური ანალიზი და ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებმა დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან თანამშრომლებთან ერთად ჩაატარეს კვლევა, თუ რამდენად ეფექტური იყო არსებული მექანიზმები. ასევე, წარდგენილი იქნებოდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, მან აღნიშნა რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს 2023 წელს დაემატა ჩანაწერი, რომლითაც დაწესებულებებს უფლება აქვთ, რომ დამოუკიდებელი პროგრამის სახით შეიმუშაონ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ამიტომ აკრედიტაციის დებულებაში შესაბამისი ჩანაწერებია შესატანი, რომელიც მაგალითად საფასურს დაადგენს მსგავსი პროგრამის აკრედიტაციის პროცესისთვის. დღის წესრიგის შესაბამისად, შეხვედრაზე ცენტრი წარმოადგენდა 2024 წლის ბიუჯეტის ძირითად მონახაზს, პარამეტრებს, რამდენი იქნება ცენტრის ბიუჯეტი და როგორი იქნება ცენტრის ფინანსური სტაბილურობა. ამასთან, განხილული იქნებოდა ცენტრის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, ზოგადი განათლების ავტორიზაციის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი და ავტორიზაციის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, პროფესიული განათლების მიმართულებით.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ განსახილველ საკითხად წარმოდგენილი იქნებოდა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრების თარიღების შეთანხმება 2024 წლისთვის, რათა საკოორდინაციო საბჭოს წევრები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი 2024 წლის საკოორდინაციო საბჭოს სხდომების თარიღებთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ENQA-ს დასკვნის პროექტის თაობაზე. პროცედურის შესაბამისად, ფაქტობრივ უზუსტობებზე საპასუხოდ ცენტრს აქვს ვადა 12 დეკემბრამდე. აღნიშნული პროექტი ჯერჯერობით არაა საჯარო და გახდება მას შემდეგ, რაც ENQA საბოლოო

დასკვნას დაამტკიცებს და თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს. სავარაუდოდ, ეს 2024 წლის თებერვალში მოხდება.

ლაშა მარგიშვილმა სიტყვა გადასცა ლაშა ზივზივადეს და სთხოვა წარედგინა ცენტრის 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.

ლაშა ზივზივადე მიესალმა საბჭოს წევრებს და წარადგინა ცენტრის 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. მან აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო და პროცესში ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული იყო ჩართული, ჩატარდა საჯარო განხილვები თითოეული მიმართულებით და მიღებული უკუკავშირები შეძლებისდაგვარად აისახა სამოქმედო გეგმაში. ათი დღის განმავლობაში სამოქმედო გეგმა განთავსებული იყო ცენტრის ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა უკუკავშირის მიწოდების. აღნიშნა, რომ 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტში აქტივობების რაოდენობა (104 აქტივობა), რაოდენობის ზრდა ძირითადად გამოიწვია კვლევებსა და ანალიზებში ამოსულმა მიგნებებმა და მათე რეაგირების მიზნით გაწერილმა აქტივობებმა. მან აღნიშნა, რომ კმაყოფილების კვლევა ერთ-ერთი ამოსავალია, რომელსაც ცენტრი ატარებს და ამის საფუძველზე იგეგმება ახალი აქტივობები. მან აღნიშნა, რომ ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვალდებულებებზე დაყრდნობა, რომელიც ცენტრს გააჩნია, ეს იქნება ასოცირების ხელშეკრულება, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია და სხვადასხვა ორგანიზაციების რეკომენდაციები, რომლებიც 2024 წლის სამოქმედო გეგმაშია ასახული, ასევე უშუალოდ სამსახურების და მენეჯმენტის ინიციატივები, რომლებიც ასევე ასახულია სამოქმედო გეგმის პროექტში.

ცენტრის სტრატეგიაში 7 სტრატეგიული მიმართულებაა ხუთწლიან ჭრილში, პირველი სტრატეგიული მიმართულება ეხება ცენტრის ორგანიზაციულ, ინსტიტუციურ განვითარებას. ცენტრს 2024 წელს დაგეგმილი აქვს თანამშრომლების საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა. 2023 წელს საპილოტე რეჟიმში წარმართა თანამშრომლების შეფასება და 2024 წელს დაინერგება სისტემა. შეფასების სისტემიდან გამომდინარე, მთავარი ამოცანაა, რომ დაიგეგმოს ცენტრის კონკრეტული თანამშრომლების განმავითარებელი ღონისძიებები და როცა შეფასდება თითოეული თანამშრომელი, ამის საპასუხოდ დაიგეგმება კონკრეტული ღონისძიებები და ესეც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. სამოქმედო გეგმაში გაიწერა აქტივობა, საკოორდინაციო საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება, კერძოდ, ჩატარდება გასვლითი ღონისძიება, რომელიც ზუსტად საკოორდინაციო საბჭოს პროაქტიულ ჩართულობას და მათგან ინიციატივების მიღებას ემსახურება. ასევე, ცენტრისთვის სტრატეგიული კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია 2024 წელი, იქიდან გამომდინარე, რომ ცენტრის ხუთწლიან სტრატეგიას უწევს შუალედური შეფასება, იგეგმება სტრატეგიის შეფასება საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით. ამასთან დაკავშირებით კომუნიკაცია უკვე შედგა ერთ-ერთ უცხოელ ექსპერტთან, რომელიც სამწლიან შუალედურ პერიოდს შეაფასებს და ეს მომდევნო აქტივობების დაგეგმვაში იქნება გამოყენებული. შუალედური შეფასების შედეგად გამოიკვეთება ძირითადი გამოწვევები და ამის საფუძველზე დაიგეგმება სამომავლო ღონისძიებები.

ლაშა ზივზივადემ აღნიშნა, რომ 2024 წლისთვის დაგეგმილია საერთაშორისო ვალდებულებების მონიტორინგი, რათა დადგინდეს თუ რა ეტაპზეა მათი შესრულება და რა არის გასაკეთებელი. გარდა ამისა, თემატური ანალიზის მიმართულებით იგეგმება საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა. მან ასევე ისაუბრა ცენტრის ყოველწლიურ კონფერენციაზე და აღნიშნა, რომ კონფერენცია სავარაუდოდ 2024 წლის 26, 27 და 28 თებერვალს ჩატარდება, უმაღლესი განათლების ხარისხის, ზოგადი განათლების ხარისხის, ადრეული/სკოლამდელი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. ღონისძიებაზე

წარდგენილი იქნება ძირითადი ტენდენციები განათლების ხარისხის განვითარების მიმართულებით.

სტრატეგიის მეორე მიზნის ფარგლებში, რომელიც ეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, ცენტრი გეგმავს კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო კონვენციაზე მიერთებას. ამ ეტაპზე დაგეგმილია გლობალური კონვენციის რატიფიცირება, რომლის პროცესშიც ცენტრი ჩართულია კომპეტენციის შესაბამისად. ამასთან, დაგეგმილია მიკრო-კრედიტების დანერგვისა და აღიარების მიზნით მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების ინიცირების შესახებ რეკომენდაციების მომზადება. საწყის ეტაპზე დაგეგმილია ორი საკონსულტაციო-საინფორმაციო სამუშაო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან და ამის საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციების მომზადება მიკრო-კრედიტების დანერგვისა და აღიარების მიზნით და შემდგომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წარდგენა.

ბოლონის პროცესის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობისა და შეხვედრების თანაორგანიზების მიმართულებით ცენტრი ბოლონის პროცესში წარმოდგენილია 5 სამუშაო ჯგუფში, მათ შორის სწავლა/სწავლების, ხარისხის განვითარების, სოციალური განზომილების, კვალიფიკაციების განვითარების და ლისაბონის კონვენციის მიმართულებით. ცენტრის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ და წარადგენენ მოსაზრებებს, პრეზენტაციებს აღნიშნულ ღონისძიებებზე.

ასევე, 2024 წლისთვის დაგეგმილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების პროცესის დაწყება და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება და განახლება.

სტრატეგიული გეგმის მესამე მიზნის ფარგლებში რომელიც ეხება სერვისების განვითარებას, მნიშვნელოვანია დისტანციურად მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ერთნაირი და სტანდარტული კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა, ამასთან, შეიქმნება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები, დაგეგმილია 2024 წელს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტში ცვლილებების პროექტების მომზადება. მან ასევე ისაუბრა ელექტრონული პლატფორმის შემუშავებაზე, რომელიც დაგეგმილია და საშუალებას იძლევა დაინტერესებულმა პირმა ცენტრის სერვისებით ერთი ფანჯრის პრინციპით ისარგებლოს, მათ შორის, განათლების აღიარების დადასტურებით, გადაიხადოს მომსახურების ღირებულება და შესაბამისი დოკუმენტი სწრაფად მიიღოს.

ასევე, დაგეგმილია მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, არანაკლებ 5 სერვისის მიმართულებით, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. მან აღნიშნა, რომ დაგეგმილია ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, პროფესიული საჯარო მოხელის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება.

სტრატეგიის მეოთხე მიზნის ფარგლებში, ზოგადი განათლების ხარისხის მიმართულებით 2024 წელს გაგრძელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია და განრიგის მიხედვით არანაკლებ 100 საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გაივლის ავტორიზაციას. ავტორიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია რესურსცენტრების როლი და მათი გაძლიერების მიმართულებით დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები 2024 წლისთვის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების კუთხით, ცენტრი გეგმავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების შესაძლებლობების, სააპელაციო საბჭოს შესაძლებლობების და ავტორიზაციის ექსპერტების შესაძლებლობების გაძლიერებას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, მომდევნო წელს განხორციელდება აქტივობები სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება, საუბარია 30 საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, იგულისხმებიან როგორც დირექტორები, ასევე დირექტორის მოადგილეები და ადმინისტრაციული პერსონალი.

ასევე, იგეგმება მომზადება/გადამზადების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება და სააპელაციო საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება. 2024 წელს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტების სერტიფიცირებაა დაგეგმილი, რის საფუძველზეც უნდა გაიზარდოს სერტიფიცირებული ექსპერტების რაოდენობა.

უმაღლესი განათლების ხარისხის მიმართულებით, 2024 წელს იგეგმება კლასტერული აკრედიტაცია განხორციელდება ბიზნესის და ადმინისტრირების სფეროებში. იგეგმება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში ჩართული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება. ტრენინგები ჩატარდება არანაკლებ 30 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

დაგეგმილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სადოქტორო პროგრამების ახალი სტანდარტებით შეფასების პროცესის პილოტირება. როგორც მან აღნიშნა, ამ შეფასების პილოტირებაში მომდევნო წელს არანაკლებ სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს მონაწილეობას.

2024 წელს, იგეგმება ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების შერჩევის წესის ანალიზი და მასში კონკრეტული ცვლილებების შეტანის ინიცირება. იგეგმება აკრედიტაციის განახლებული ექსპერტთა კორპუსის ატესტაცია ბიზნესის და ადმინისტრირების სფეროებში. პროცესი 2023 წელს დაიწყო და გაგრძელდება 2024 წელს.

სტრატეგიის მეშვიდე მიზნის ფარგლებში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის მიმართულებით აღინიშნა, რომ მიმდინარეობს ბაღებში თვითშეფასების პროცესი და ამ თვითშეფასების ანალიზის დოკუმენტის შემუშავებაა დაგეგმილი. როგორც ცნობილია 2025 წლიდან საბავშვო ბაღების ავტორიზაციაა დაგეგმილი და ამ მიმართულებით მომდევნო წელი ბაღებისთვის მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ უნდა შემუშავდეს ავტორიზაციის განრიგი, სადაც იდენტიფიცირებული იქნება ის ბაღები, რომლებიც ავტორიზაციას გაივლიან. მან ამასთან, ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების განვითარების კუთხით დაგეგმილია კონკრეტული ტრენინგები, სემინარები, მათ შორის სიმულაციური პროცესები. აღნიშნულ პროცესის ჩატარება დაგეგმილია არანაკლებ 200 დაწესებულებისთვის.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივამემ მეორე განსახილველ საკითხად წარმოადგინა 2024 წლისთვის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის სავარაუდო თარიღები, 2024 წლის 28 მარტი და 5 დეკემბერი. აღნიშნა, რომ 2023 წლის ცენტრის კმაყოფილების კვლევის ფარგლებში, ერთ-ერთ მიგნებად ამოვიდა, რომ წინასწარ განისაზღვროს საბჭოს შეკრების შესაძლო თარიღები, რათა წევრებმა წინასწარ იცოდნენ და მომზადებულები იყვნენ სხდომისთვის. როგორც ლაშა ზივზივამემ აღნიშნა, ორი რიგითი სხდომის გარდა შესაძლებელია იყოს რიგგარეშე სხდომები წლის განმავლობაში.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივამემ წარადგინა პროფესიული მომზადების ინსტიტუტების ასოციაციაში (European Association of Institutes for Vocational Training – EVBB)

გაწევრიანების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნა, რომ ცენტრი ყოველწლიურად ინტერნაციონალიზაციის კუთხით წევრიანდება სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ცენტრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაცია პროფესიული განათლების კუთხით საქმიანობს და მისი მიზანია ევროპის ქვეყნებში და ევროპულ დონეზე პროფესიული განათლების ხარისხისა და სწავლების გაუმჯობესება. პროფესიულ განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა, ასევე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრირება და პროფესიული მომზადების და განათლების პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობა. EVBB-ში 23 ქვეყნის, მათ შორის ევროპული ქვეყნების 362 ორგანიზაციაა გაწევრიანებული. ყოველწლიური საწევრო გადასახადი 600 ევროა, ეს დამოკიდებულია ადამიანების რაოდენობაზე, რამდენი ადამიანი მუშაობს ცენტრში. რაც შეეხება სარგებელს, ცენტრის ცნობადობის ასამაღლებლად ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მან ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციის გენერალური მდივანი იმყოფებოდა საქართველოში, მან შეხვედრა გამართა ცენტრის წარმომადგენლებთან და მასთან შეხვედრის შემდეგ ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ლაშა მარგიშვილმა მიმართა საკოორდინაციო საბჭოს, რათა პასუხის ფორმატში წარედგინათ კითხვები წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავჯდომარემ, რუსუდან სანაძემ მადლობა გადაუხადა ლაშა ზივზივამეს საინტერესო მოხსენებისთვის და აღნიშნა, რომ მისთვის ცალსახად გასაგები იყო ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელზეც ცენტრი მომავალ წელს იმუშავებდა. მან აღნიშნა რომ წარმოდგენილი საკითხები არაერთხელ იყო განხილული და ცნობილი იყო მისთვის. რუსუდან სანაძის თქმით, არცერთი ისეთი მიმართულება არ იყო დასახელებული, რომელზეც მანამდე არ უსაუბრიათ. მან აღნიშნა, რომ პირველ რიგში ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება. ის დაინტერესდა რა ნიშნით იყო კონკრეტულად ეს ორგანიზაცია შერჩეული, ასევე დაინტერესდა შემდგომი განვითარების გეგმა თუ არსებობს და ასევე თუ არსებობს სხვა ორგანიზაციებში გაწევრიანების გარკვეული ხედვა.

საპასუხოდ, ლაშა ზივზივამემ განმარტა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია შეირჩა ETF-ის რეკომენდაციით. ცენტრმა ETF-ს სთხოვა რეკომენდაცია გაეწია პროფესიული განათლების მიმართულებით რომელიმე ორგანიზაციისთვის. ETF-ის წარმომადგენლებმა ორ მნიშვნელოვან ორგანიზაციას გაუწიეს რეკომენდაცია, მათ შორის იყო EVBB. გარდა ამისა, როდესაც EVBB წარმომადგენელი საქართველოში ჩამოვიდა, მათ ცენტრის ხელმძღვანელობა შეხვდა და საუბრის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაწევრიანების შესახებ. წარმოდგენილი პრეზენტაცია საკოორდინაციო საბჭოსთან საკითხის შეთანხმებას ემსახურებოდა.

კითხვა - პასუხის რეჟიმში ირმა ქურდაძემ დასვა კითხვა ზოგადი განათლების მიმართულებით, არანაკლებ 100 სკოლის ავტორიზაციის გავლაა დაგეგმილი და არის თუ არა განსაზღვრული ზედა ზღვარი. ასევე, იკითხა უმაღლესი განათლების მიმართულებით, განათლების მენეჯმენტზე როგორც ცნობილია შესაბამის დარგობრივი საბჭო გამოვიდა ინიცირებით, რომ განათლების ადმინისტრირება გადმოვიდეს განათლების მეცნიერებებში და ამ ეტაპისთვის თუ არა საბოლოოდ განსაზღვრული იცვლის თუ არა ადგილს.

ლაშა ზივზივამემ განმარტა, რომ არანაკლებ 100 საჯარო სკოლის ავტორიზაცია აღებულია მსოფლიო ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების ვალდებულებიდან და შესაძლოა უფრო მეტი საჯარო სკოლა ჩაერთოს ამ პროცესში. დამატებით, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, თამარ რატიანიძემ განმარტა, რომ ზოგადი განათლების კანონში შედის ცვლილება და 2026-2027 სასწავლო წლის ნაცვლად საჯარო სკოლებმა

ეტაპობრივი ავტორიზაცია განხორციელდება 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე. რაც შეეხება მომდევნო წელს, ცენტრი გეგმავდა მინიმუმ 100 სკოლასთან დაკავშირებით საავტორიზაციო წარმოების ჩატარებას.

მეორე კითხვაზე პასუხად, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მომავალ წელს ადმინისტრირების სფეროში შემავალ პროგრამებს უწევთ კლასტერული აკრედიტაციის პროცესის გავლა და გარე ინიცირებით წარმოდგენილია განათლების ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს განათლების ადმინისტრირების კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის სფეროს ცვლილებას. კერძოდ, ბიზნესი და ადმინისტრირებიდან გადადის განათლების მეცნიერების სწავლის სფეროში ინტერდისციპლინარულ მიმართულებაში. როგორც ცნობილია წლის ბოლომდე იგეგმება დარგობრივი საბჭოს შეკრება და ამ საკითხზე მსჯელობა, როგორც კი ამ საკითხს მიიღებენ, დოკუმენტს პროცედურულად წარუდგენენ დირექტორს დასამტკიცებლად. იმ შემთხვევაში თუ დირექტორი დაამტკიცებს, სათანადო ინიცირება მომზადდება, რათა შევიდეს ცვლილება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში. ვინაიდან პროგრამები ადმინისტრირების სწავლის სფეროში სააკრედიტაციო უნდა იყოს წარმოდგენილი 2024 წლის მაისამდე, იმიტომ რომ ფანჯრებია სააკრედიტაციო განცხადების წარმოდგენის, 2024 წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ ინიციატივას უკვე ექნება იურიდიული ძალა. რაც შეეხება განათლების მენეჯმენტს, იგი რჩება უცვლელად, ადმინისტრირების სწავლის სფეროს ქვეშ.

მომდევნო კითხვა დასვა შალვა მეკრავიშვილმა. მადლობა გადაუხადა ლაშა ზივზივამეს საინტერესო და ამომწურავი პრეზენტაციებისთვის და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი პუნქტი ეხებოდა რესურს-ცენტრების შესაძლებლობების გაძლიერებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის კუთხით, ამ მიმართულებით უფრო კონკრეტულად განმარტებულიყო რა იგულისხმება აღნიშნულის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია ოთხი სტანდარტით ხორციელდება და პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტებს რაც შეეხება იცის რესურსცენტრების თანამშრომლების კვალიფიკაცია და ისინი ამას შეძლებენ, თუმცა, ძალიან სპეციფიურია მეორე სტანდარტი, რომელიც საგნობრივი პროგრამების და კურიკულუმების გაანალიზებას ეხება და დაინტერესდა ამ მიმართულებითაც თუ იგეგმება რესურსცენტრების გაძლიერება.

საპასუხოდ, ლაშა ზივზივამემ განმარტა, რომ კონკრეტულად რა ბერკეტი მუშავდება ამასთან დაკავშირებით ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი თამარ რატიანიძე ისაუბრებდა. თამარ რატიანიძემ აღნიშნა, რომ იგეგმება რესურსცენტრების თანამშრომლების ინტენსიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში და როგორც აღნიშნა, ასევე იგეგმება ტრენინგების და ვორქშოპების ჩატარება და ამ კუთხით მათი შესაძლებლობების გაძლიერება. თამარ რატიანიძემ აღნიშნა, რომ უფრო დეტალურად ინფორმაციას საბჭოს წევრებს სხდომის დასრულების შემდგომ წერილობით მიწვდიდა.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, კაი ეტხოლდიმ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საინტერესო პრეზენტაციისთვის და აღნიშნა, რომ უზარმაზარი შრომა აქვს გაწეული ცენტრს მიმდინარე წლის აქტივობების განხორციელებაში და 2024 წლის სამოქმედო გეგმაში 10%-ზე მეტი აქტივობაა ჩადებული და იმედოვნებს, რომ ცენტრს აქვს შესაბამისი რესურსები ამის განსახორციელებლად. ასევე, გააკეთა კომენტარი პირველ მიზანთან დაკავშირებით, თანამშრომელთა შეფასებაზე, აღნიშნა, რომ საკითხი სენსიტიურია, გააზიარა საკუთარი გამოცდილება და აღნიშნა, რომ მეტი და მეტი მსჯელობა მნიშვნელოვანია შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას. აღნიშნა, რომ ახსოვს ეს აქტივობა მიმდინარე წლიდან გადატანილია მომავალი წლისთვის. ასევე, მან კითხვა დასვა აკრედიტაციის ექსპერტებსა და

ზოგადად ექსპერტთა კორპუსის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული არის თუ არა საერთაშორისო ექსპერტიც. მან ბოლოს მადლობა გადაუხადა ცენტრს მომავალი წლის საბჭოს სხდომების თარიღის განსაზღვრისთვის.

პასუხად, ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ ცენტრს მრავალმხრივი სამუშაო აქვს შესასრულებელი და გარკვეული ნაწილი უკვე განხორციელებულია. მუდმივად ხდება ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობის გადახალისება და ამ მიზნით, ბიზნესის მიმართულებით ცენტრმა უკვე გამოაცხადა არსებული ადგილობრივი ექსპერტების ატესტაციის პროცესი. ამ ეტაპზე დოკუმენტები გადახარისხებულია. ატესტაცია გულისხმობს ძალიან ინტენსიურ თანამშრომლობას ექსპერტებთან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბიზნეს დარგობრივი განხილვა იქნება, ასევე იქნება ინტენსიური ტრენინგი და შემდეგ ატესტაციის ეტაპი, რაც გულისხმობს კონკრეტული დავალებების შესრულებას, შემდეგ იქნება გასაუბრების ეტაპი და მოხდება ექსპერტების აყვანა კორპუსში. ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი გეგმავს საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის გაზრდას, ამ თვალსაზრისით ინფორმაცია გაგზავნილია სხვადასხვა პარტნიორ სააგენტოსთან. ENQA-ს ვებგვერდზე უკვე განთავსებულია ინფორმაცია და დაინტერესების შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა კონკურსში. ამასთან, საქართველოს მასშტაბით პარალელურად გამოცხადდება კონკურსი, ახალი ადგილობრივი ექსპერტების მოსაზიდად.

კითხვა პასუხის დასრულების შემდგომ, ლაშა მარგიშვილმა სთხოვა ქალბატონ რუსუდან სთხოვა კენჭისყრაზე დაეყენებინა ცალ-ცალკე წარმოდგენილი საკითხები: 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, 2024 წლის საბჭოს შეხვედრების თარიღები; EVBB ორგანიზაციაში გაწევრიანება.

რუსუდან სანაძემ ვიდრე კენჭისყრაზე დააყენებდა საკითხებს, კომენტარის სახით აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებით და ENQA-ს ანგარიშთან და მასში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით პირისპირ შეხვედრაზე იმსჯელებდნენ საკოორდინაციო საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებაზე. შემდეგ მან კენჭისყრაზე დააყენა საკითხები: ცენტრის სამოქმედო გეგმა:

მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

შემდეგი საკითხად წარადგინა იყო საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის შეთავაზებული თარიღები: 28 მარტი და 5 დეკემბერი და საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ არიან თანახმა ამ თარიღებზე.

მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

მესამე საკითხი, EVBB - პროფესიული განათლების ორგანიზაციების ევროპული ასოციაციაში გაწევრიანება.

მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ცენტრი გახდა INQA-AHE-ს წევრი, რომელშიც არიან გაწევრიანებული არა მხოლოდ ევროპული, არამედ მსოფლიოდან სხვადასხვა სააგენტოები. სამომავლოდ ცენტრი განიხილავს უფრო მეტად გააძლიეროს მუშაობა დარგობრივ

ასოციაციებში გაწევრიანების მიმართულებებით. არსებობს არაერთი ასოციაცია, რომელიც კონკრეტული ნიშნითა და დარგითაა შექმნილი, ახორციელებენ კონკრეტული მიმართულებით პროგრამებს. ერთ-ერთია ვაშინგტონის აკორდი (Washington Accord), რომელიც აერთიანებს იმ სააგენტოებს, რომლებიც ახორციელებენ ინჟინერიის პროგრამების აკრედიტაციას, როგორც WFME, სამედიცინო განათლების მიმართულებით, იგივე არის ვაშინგტონის აკორდი ინჟინერიის მიმართულებით.

ლაშა მარგიშვილმა ყველას დიდი მადლობა გადაუხადა ჩართულობისთვის, მხარდაჭერისთვის და წარადგინა შემდგომი გამომსვლელი, ნიკოლოზ ფარჯანაძე, რომელიც წარადგენდა ორ საკითხს, მომზადებულ თემატურ ანალიზს და აკრედიტაციის დებულებაში წარსადგენ ცვლილებებს.

პირველ საკითხად ნიკოლოზ ფარჯანაძემ წარადგინა პრეზენტაცია სამწლიან ანგარიშებთან დაკავშირებით. განმარტა, რომ სამ წელიწადში ერთხელ უსდ-ები წარმოადგენენ შუალედური შეფასების ანალიზის დოკუმენტს. აქ იგულისხმება, როგორც ავტორიზაციის პროცესი, ასევე აკრედიტაციის პროცესი და შესაბამისად, ავტორიზაციის მიღების ეტაპიდან სამ წელში უნდა მოხდეს შუალედური შეფასების დოკუმენტის წარმოდგენა და ანალოგიური სცენარია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შემთხვევაშიც. მნიშვნელოვანია მიმდინარე პროცესების კვლევა, ანალიზი, დაკვირვება და საკუთარი პრაქტიკის შესწავლა, თუ რამდენად ეფექტური და ეფექტიანია ის მექანიზმები, რასაც ისინი გარე შეფასების პროცესში იყენებენ. აქცენტი არის თავად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. რამდენად ეხმარება უნივერსიტეტებს არსებული მექანიზმები საკუთარი პროცესების კვლევაში და განვითარებაში. სწორედ ამ მიზნით შეირჩა ერთ-ერთი მექანიზმი, რაც არის სამწლიანი ანგარიშის თემატური ანალიზი, რომელიც მომზადდა დაგეგმვის კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან თანამშრომლობით. კვლევა ეფუძნება Twinning-ის ფარგლებში მომზადებულ მეთოდოლოგიას. რაც შეეხება უშუალოდ კვლევის მთავარ ფაზულას, შემუშავდა კვლევის სამი შეკითხვა და ეს სამი შეკითხვა ეხება სამწლიანი ანგარიშის ეფექტიანობის საკითხს. შესაბამისად, გაერთიანდა ავტორიზაციის სამწლიანი ანგარიშები, ასევე აკრედიტაციის სამწლიანი ანგარიშები და ავტორიზაციის მიმართულებით, შეირჩა 13 უსდ. ერთ-ერთი მთავარი პრინციპი შერჩევის პროცესში იყო, ის რომ 2022 წლისთვის რომელ თემატურ ანალიზზეც უკვე დამდგარი იყო შედეგი, ის უსდ-ები შეარჩიეს. ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა განსხვავდება სამწლიან ანგარიშსა სხვა შუალედური ანგარიშებს შორის. სამწლიანი თემატური ანგარიშის შემთხვევაში ე.წ. სამართლებრივი შედეგი არ დგება არც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და ეს აქტივობა მთლიანად მიმართულია განვითარებისკენ. შესაბამისად, ეს დასკვნები საბჭოზე არ გადის, როგორც უკვე აღნიშნა, არც სამართლებრივი შედეგი არ დგება. რაც შეეხება კონკრეტულად აკრედიტაციის სამწლიან ანგარიშებს, ასეთ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა მეხუთე სტანდარტზე და ხარისხის მექანიზმებზე, შესაბამისად ამ მიმართულებით ორი ძირითადი ინსტრუმენტია გამოყენებული - დოკუმენტის ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუები. ასევე, გაანალიზდა ლატვიის, ლიეტუვის და ესტონეთის ხარისხის კონტექსტი. აღნიშნა, რომ დოკუმენტი საჯაროდაა ხელმისაწვდომი ცენტრის ვებ-გვერდზე ქართულ ენაზე და შედარებით მცირე ინგლისური ვერსია, ე.წ. executive summary.

მან მოკლედ ისაუბრა მიგნებებზე და აღნიშნა, რომ გამოიკვეთა დაწესებულებების პერსპექტივა. ასევე, ხარისხის სააგენტოების წარმომადგენლების პერსპექტივა და მოხდა ამ პოზიციების შეჯერება. აღსანიშნავია, რომ ძალიან ბევრი დაინტერესებული პირის მიერ მთლიანად პროცესი დადებითად ფასდება, უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოკვეთილა. ზოგიერთ შემთხვევაში დახარჯული რესურსი რეალურად არ არის შედეგის საპირწონე. სხვა შემთხვევაში პირიქით,

მიჩნეულია, რომ არის ძალიან კარგი სავარჯიშო, რაც ორიენტირებულია განვითარებაზე. შესაბამისად, კონკრეტული მიგნებები გაანალიზდა, გაიწერა რეკომენდაციები.

მეორე საკითხი, რომელიც ნიკოლოზ ფარჯანაძემ წარადგინა ეხებოდა კანონში შესულ ცვლილებებს, რის შესაბამისადაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ შესაძლებლობა შეიმუშაონ მასწავლებლის სპეციალური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის 60 კრედიტიანი დამოუკიდებლად არსებული პროგრამა და წინასწარ კანონით დადგენილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი სერტიფიკატის გაცემისა და პროფესიაში შესვლის წინაპირობები.

მან ასევე აღნიშნა, რომ მათი მხრივ მნიშვნელოვანი ისაა, რომ წარმოადგინონ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილებები. ეს კონკრეტული ცვლილებები ეხება აკრედიტაციის დებულებაში და აკრედიტაციის საფასურებში გასათვალისწინებელ ცვლილებებს, ეს ცვლილებები კი ეხება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას და აკრედიტაციის საფასურის განსაზღვრის აუცილებლობას. აკრედიტაციის დებულებაში ნახსენები იყო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მაგრამ გამოკვეთილად არ იყო წარმოდგენილი სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა. შესაბამისად, დგება იმის აუცილებლობა, რომ აისახოს სპეციალური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა და განისაზღვროს საფასური. ცვლილებას სჭირდება დებულებაში ასახვა, კონკრეტული შინაარსობრივი დეტალების ცვლილება საჭირო არ არის, მნიშვნელოვანია მხოლოდ კონკრეტული კონტექსტის დაზუსტება.

ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ წარდგენილი საკითხები მეტად აქტუალურია და უნივერსიტეტების უმრავლესობისთვის აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია. იკითხა, აღნიშნული პროგრამა იქნება მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანის მსგავსი, ანუ სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში მიიღებს სკოლაში შესვლის შემთხვევაში უფროსი მასწავლებლის სტატუსს? წინაპირობაში კი 60 კრედიტიანში საგნის ჩაბარებაა? ამასთან, ირმა ქურდაძემ პირველ მოხსენებაზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ სამწლიანი ანგარიშების მომზადება დიდ დროს და რესურსს მოითხოვს. კარგი ინიციატივაა, უბრალოდ მნიშვნელოვანია ფორმის განსაზღვრა, რადგან გარე შეფასება ყოველთვის აფხიზლებს.

პასუხად, ნიკოლოზმა განმარტა, რომ სერტიფიკატი ამ შემთხვევაში პროფესიაში შესვლის შესაძლებლობაა და მისი გაცემის შემთხვევაში ენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. დაშვების წინაპირობაა შესაბამისი ჯგუფის საგნობრივი გამოცდის და შესაბამისი უნარების გამოცდის ჩაბარება. რაც შეეხება ანგარიშებს, მან აღნიშნა, რომ მათი მთავარი მოტივაცია იყო მიზანშეწონილობის გადახედვა და ისიც, რომ დახარჯული რესურსი რამდენად იძლევა იმ შედეგს და რამდენად ეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განვითარებაში.

რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ სპეციალური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე დარგობრივი მოთხოვნების გათვალისწინება მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პირველ ინიციატივას, თემატური ანალიზი მნიშვნელოვანია დინამიკაში ანალიზის გასაკეთებლად, თუმცა, დამატებით იქნება სამუშაო ინსტიტუციებთან, მაგალითად ყოველწლიური ანგარიში, რომლის საფუძველადაც გამოდგება სამწლიანი ანგარიშები, რაც მიეხმარება გარე შეფასების პროცესს.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ აუცილებლად შემუშავდება კონცეფცია და განიხილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პრობლემა იყო მათი მხრიდან ერთგვაროვანი მიდგომის არ არსებობა, ამ პერსპექტივიდან არ უნდა იმსჯელონ გაუქმებაზე, თუმცა, აღნიშნა, რომ სპეციფიკა გადასახედი იქნება თუ როგორ განხორციელდება შეფასების ეს ფორმა.

რუსუდან სანაძე იკითხა, თუ ვინ იყო თანახმა, რომ ორივე საკითხი ცნობად მიიღოთ, რის შედეგადაც თანხმობის საფუძველზე მოხდება კონკრეტული ცვლილებების ინიცირება.

მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

დღის წესრიგის შესაბამისა, მაია კალანდაძემ წარმოადგინა ცენტრის ბიუჯეტთან დაკავშირებით პრეზენტაცია. კერძოდ, 2024 წლის ცენტრის სამოქმედო გეგმის აქტივობებისთვის ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შემდეგ დაიგეგმა ბიუჯეტი. ის შედგება როგორც სახელმწიფოს მხრიდან მისაღები თანხების, ასევე საკუთარი თანხებისგან. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხა შეადგენს 5,175,000.00 ლარს.

როგორც მან აღნიშნა, საკუთარი თანხების ნაწილში, ცენტრი ღებულობს შემოსავლებს გაწეული მომსახურებების შესაბამისად. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, როგორც მიმდინარე წელს იყო 10 %-იანი ზრდა შტატთან და შტატგარეშე თანამშრომლებისთვის, ასევე მომავალი წლის შტატთან და შტატგარეშე თანამშრომლებზე 10%-იანი ზრდა არის ბიუჯეტში ასახული. საერთო ჯამში ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავალი პროცენტული მაჩვენებელია 34% ბიუჯეტიდან მისაღები, საკუთარიდან კი 66%. ყველაზე დიდი ხარჯი შრომის ანაზღაურებაზე მოდის.

საერთო ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის და საკუთარი შემოსავლების ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების შეფარდება შემდეგნაირია: 34% სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სახსრები, საკუთარიდან კი 66% ის. ყველაზე დიდი ხარჯი შრომის ანაზღაურებებზე მოდის. საერთო ჯამში, ბიუჯეტიდან შტატზე და შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებისთვის გამოყოფილია - როგორც ცხრილებიდან ჩანს მივლინებების ხარჯის 24% - ბიუჯეტიდან დაიგეგმა, ხოლო 76% - საკუთარი სახსრებიდან. საკუთარი შემოსავლების ბიუჯეტი მოიცავს ბიუჯეტში გადასახდელ 10%. სოციალური ანაზღაურება (დეკრეტულები, ბიულეტენი) - 27% ია - ბიუჯეტის , ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 73% ია შეადგენს. ყველა სახის ხარჯების პარამეტრები წარმოდგენილია ცხრილში.

მაი კალანდაძემ აღნიშნა, რომ ეს პარამეტრები შეიცვლება, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი ჯერ არაა დამტკიცებული და ზუსტი თანხები ცნობილი არაა, შესაბამისად ნაშთები წლის დასაწყისში შეიცვლება. კომენტარის სახით, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრისთვის მნიშვნელოვანია წლიდან წლამდე ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე და ეს ENQA-ს შეფასების ნაწილში კიდევ ერთხელ დადასტურდა, როგორც ცენტრის სტრატეგიული ხედვა.

კითხვა-პასუხის ფორმატში, რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ ENQA-ს შეფასების დროს კრიტიკული კითხვა რაც წამოვიდა იყო, თუ რამდენად მზად არის ცენტრი შეძლოს დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ცენტრის მხრიდან დასაბუთება კი იყო ის, რომ გარედან მოწოდებული თანხები წლიდან წლამდე მკვეთრად იცვლება. ამასთან დაკავშირებით ითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რომ წარმოედგინათ წინა წელთან შედარებით როგორ შეიცვალა, როგორ იგეგმება, ან როგორია პროცენტული ცვლილება, როგორია ტენდენცია რომლისკენაც ცენტრი მიდის.

საპასუხოდ, მაია კალანდაძემ განმარტა, რომ წლევიანდელ ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროცენტი იყო 38% იყო, მომავალი წლისაში კი 34%. ბიუჯეტი კი ყოველწლიურად იცვლება, რადგან საფასურები გახდა თვითკმარი და რაც შეიძლება ნაკლებ თანხას ითხოვს ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ერთადერთი როცა შეიძლება გაზრდილი მოეჩვენოთ თანხები არის ის შემთხვევა, როცა ახალი აქტივობა, ან კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების

გატარება უწევს ცენტრს. მან ასევე აღნიშნა, რომ წელს დაინიცირდა და მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში ჩაიდო, რომ 2025 წლისთვის მომზადდება ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ცალ-ცალკე ბიუჯეტის პროექტები.

რუსუდან სანაძემ მადლობა გადაუხადა მათ კალანდაძეს და აღნიშნა, რომ საინტერესო და სასიამოვნო იქნებოდა სტრატეგიულ მიმართულებებთან და აქტივობებთან ბიუჯეტური განაწილება რომ ყოფილიყო, უფრო მეტად აღქმადი იქნებოდა. შესაბამისად, იმ ტენდენციებს და პრიორიტეტებს უფრო ნათლად დაინახავდნენ. მათ კალანდაძემ აღნიშნა, რომ ყველა სამსახურის ჩართულობით დაიწყებენ რისკების იდენტიფიცირებას და ამ მიმართულებით სამუშაოები დაწყებულია.

ირმა ქურდაძემ გააჟღერა ინიციატივა, რომ დარგობრივი საბჭოს წევრებს მოტივაციისთვის ჰქონოდათ გარკვეული ანაზღაურება. თუკი ბიუჯეტი ამის საშუალებას აძლევს ცენტრს, დარგობრივ საბჭოში - დარგობრივ დოკუმენტზე მუშაობის დროს. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ განიხილავენ ამ ინიციატივას, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურმაც აღნიშნა ამ ინიციატივის შესახებ და განხილვის შედეგები აუცილებლად გაჟღერდება მომდევნო საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე.

რუსუდან სანაძემ წარმოდგენილი საკითხი, ბიუჯეტთან მიმართებით კენჭისყრაზე დააყენა, განმარტა, რომ ელის მომავალი წლის პირველ სხდომაზე დამატებითი დაზუსტებული დოკუმენტის წარდგენას. ამ დათქმების პირობებში საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს თანხმობა.

მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

დღის წესრიგის შესაბამისად, სოფიო მგალობლიშვილმა წარმოადგინა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. მან ხაზი გაუსვა ცენტრისთვის პოლიტიკის დოკუმენტის მნიშვნელობას, რომელიც ცენტრის მხრიდან გაცხადებულ ძირითად მიმართულებებსა და პრინციპებს მოიცავს. ასევე, გამოყოფს მიზნებს, კერძოდ, ცენტრს პრიორიტეტად აქვს დასახული ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხები, ასევე, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები მოიცავს ცენტრში მოქმედ პროცედურებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესში დასაქმებულების და სხვა პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ცენტრი შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემას წარმოადგენს შემდეგი მიზეზების გამო, ეს არის მორალური, სამართლებრივი და ფინანსური და განმარტა თითოეული მათგანის მნიშვნელობა.

მან ასევე ისაუბრა შრომის უსაფრთხოების სისტემის მოდელზე, რომელიც გულისხმობს დაგეგმვას, განხორციელებას, განვითარებას და შეფასებას. ასევე, ისაუბრა რისკების შეფასებასა და მართვაზე. სოფიო მგალობლიშვილმა ასევე ისაუბრა რისკების შეფასების პროცესის საფეხურებზე, რისკების კონტროლის იერარქიაზე, დამსაქმებლის ვალდებულებებზე.

მომხსენებელმა ისაუბრა თუ როგორ ხდება კონკრეტული ინციდენტების მოკვლევა, დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენა. აღნიშნა, რომ ნებისმიერი ინციდენტის მოკვლევაში ჩართულია დასაქმებული, რომელიც შეესწრო ამ კონკრეტულ ინციდენტს და მტკიცებულებები ინახება, შედეგები კი ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს, იქნებიან ეს შესაბამისი

დასაქმებულთა გაერთიანებები, სამართლებრივი ორგანოები თუ შრომის ინსპექციის სამსახური. მან ისაუბრა ინციდენტის მოკვლევის ეტაპებზეც, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს, საკონტროლო ღონისძიებების იდენტიფიცირებასა და გამოსასწორებელი ქმედებების დაგეგმვას.

გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა პერსონალის სწავლებაზე. ასევე გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი გარემოებაა, რომ დასაქმებულებს გააჩნდეთ შესაბამისი სახელმწიფო ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის შესაბამის კვალიფიკაციას. ასევე ყურადღება გამახვილდა დისციპლინური პოლიტიკის საკითხებზე, დისციპლინარული პასუხისმგებლობების ზომებზე, ცენტრში დასაქმებულთა მიმართ ძირითად მოთხოვნებზე, პროცესების მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე, რომელსაც ცენტრის დირექტორს წარედგინება.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ რუსუდან სანაძემ წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება კენჭისყრაზე დააყენა.

მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

დღის წესრიგის შესაბამისად, შემდეგი პრეზენტაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ თამარ რატიანიძემ წარადგინა. 2023 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, ამოქმედდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 4 ახალი სტანდარტი, რის საფუძველზეც მოხდა ექსპერტთა კორპუსის ფორმირება. იგი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისგან და საგნობრივი მიმართულების ექსპერტებისგან დაკომპლექტდა. მას შემდეგ, რაც 2023 წლის მარტის თვიდან მასშტაბური ადმინისტრაციული წარმოებების განხორციელება დაიწყო, ასევე დაიწყო საჯარო სკოლების ავტორიზაციის მასშტაბური პროცესი. ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აფასებენ, 11 ექსპერტისგან დაკომპლექტდა, რომელთაგან ორი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტია, ხოლო დანარჩენები კი 9 საგნობრივი ექსპერტი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის მიმართულების ექსპერტები და საგნობრივი ექსპერტებიდან მხოლოდ საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნობრივი ექსპერტები დაწესებულებას ადგილზე სტუმრობენ და ვიზიტის დროს ახორციელებენ დაწესებულების მზაობის შეფასებას, ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, ხოლო დანარჩენი საგნობრივი ექსპერტები უკვე დისტანციურ ფორმაში სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით ერთვებიან და ამ ფორმატში ფასდება დაწესებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა საგნობრივი ექსპერტების მიერ ვიზიტის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა. 2023 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით დაწყებული აბსოლუტურად ყველა ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ იზრდება საგანმანათლებლო რესურსცენტრების როლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გარე უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით და ჩნდება შესაძლებლობა, რომ ვიზიტზე ცენტრის თანამშრომლის გარდა დაესწროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ვიზიტის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს გაუწევს ტექნიკურ დახმარებას და უზრუნველყოფს ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას. იმ შემთხვევაში თუკი რაიმე პროცედურული

დარღვევები იქნება გამოვლენილი აღნიშნულ პროცესში უზრუნველყოფს ცენტრის ინფორმირებას. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც იგეგმება არის შერწყმული ადმინისტრაციული წარმოების განსაზღვრის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ თუკი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას სურს დაიმატოს რომელიმე საფეხურის პროგრამა იქნება ეს დაწყებითი, საბაზო თუ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და აღნიშნული იწვევს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ადგილების გაზრდას, ამ შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილი იქნება, რომ გადაიხადოს მხოლოდ პროგრამის დამატებისთვის განსაზღვრული საფასური, ანუ ის თუ მომართავს ორივე წარმოებისთვის ცენტრს, გადაიხდის მხოლოდ პროგრამის დამატებისთვის დადგენილ საფასურს. ასევე, იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მისამართის ადგილის ცვლილება თუკი განაპირობებს, ასევე მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ადგილების გაზრდას, ამ შემთხვევაშიც დაწესებულებას მოუწევს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდა. დაგეგმილი ცვლილება ემსახურება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესების დაცვას, რომლის თანახმადაც თუკი სახეზე გვაქვს ზემოთ აღნიშნული ისეთი ადმინისტრაციული წარმოებები, რომლის ფარგლებშიც იკვეთება ის, რომ იგი ერთიან მიზანს ემსახურება, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გადაიხადოს ერთი ადმინისტრაციული წარმოების საფასური. მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება ამ ნაწილში ისაა, რომ ცვლილებების ფარგლებში მოხდება ავტორიზაციის პროცესის გავლის შეღავათიანი ტარიფის განსაზღვრა თბილისის მუნიციპალიტეტის გარეთ მდებარე კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის, თუკი დაწესებულებას, რომელიც მდებარეობს თბილისის მუნიციპალიტეტის გარეთ, სურს 170 მოსწავლეზე ნაკლებ კონტიგენტზე შემოიტანოს განაცხადი და ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადში მიუთითებს აღნიშნულს, იგი ისარგებლებს 50%-იანი საშეღავათო ტარიფით და თუკი 2 წლის განმავლობაში მოისურვებს, რომ გაიზარდოს მოსწავლეთა კვოტა და ამ შემთხვევაში გადააჭარბებს 169 ადგილს, მას მოუწევს ავტორიზაციის დროს გამოყენებული შეღავათის გადახდა.

ცვლილებების ფარგლებში ასევე იგეგმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადასახდელი საფასურების განსხვავებულად დაანგარიშება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საგნობრივი ექსპერტები ამ პროცესში ჩართულები არიან დისტანციურად და ახორციელებენ დაწესებულების შეფასებას, გარდა საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნობრივი ექსპერტისა. ასევე, როგორც აღნიშნა, იზრდება ადგილობრივი რესურსცენტრის ჩართულობის როლი და ეს ყველაფერი განაპირობებს თანხების შემცირებას და ამ პროცესში მოქმედი დებულების პირობებში სტატუსის მამიებლად ცნობილი დაწესებულებებისთვის მოხდება იმ ნაწილი თანხის დაბრუნება, რაც უკვე მათ გადაიხადეს ავტორიზაციის საფასურად.

მოქმედი დებულების რედაქციით ანაზღაურებას ექვემდებარება რეგიონში ვიზიტისთვის განკუთვნილი თანხები, იქნება ეს სასტუმროში განთავსების თანხა, მგზავრობის ღირებულება, დღიური სამივლინებო თანხა. ექსპერტი ვიზიტის შემდგომ ცენტრში წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებებს დოკუმენტაციის სახით გაწეული ხარჯების არსებობის თაობაზე. როგორც ცნობილია, საჯარო სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი განთავსებულია რეგიონებში ისეთ ლოკაციებზე, სადაც მსგავსი ტიპის დასაბუთების წარმოდგენა ექსპერტისთვის სირთულეებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, იცვლება ექსპერტისთვის სამივლინებო თანხის ანაზღაურების წესი და თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების გარდა, განთავსების, მგზავრობისა და დღიური სამივლინებო თანხა ექსპერტს მიეცემა შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხასთან ერთად.

დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს თვითშეფასების წარმოდგენის ვადის გახანგრძლივება და ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ექვსწლიანი ავტორიზაციიდან ცხრაწლიან ავტორიზაციაზე გადასვლა. ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც 2023 წლამდე შეფასდნენ, სანამ ამოქმედდებოდა შეფასების ახალი სტანდარტები, ამ დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობა 2024 წლის პირველი სექტემბრის დადგომიდან, ხოლო 2025 წლის პირველი იანვრიდან თვითშეფასების განხორციელება უნდა მოხდეს ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც პილოტირების რეჟიმში მიმდინარეობს და 2025 წლიდან დაწესებულებებს ექნებათ შესაძლებლობა თვითშეფასება ელექტრონულად აღნიშნულ პლატფორმაზე განახორციელონ. ავტორიზაცია იქნება ცხრაწლიანი და ავტორიზაციის ვადის გავრცელება მოხდება ყველა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე, რომელიც 2023 წლიდან ახალი სტანდარტების ფარგლებში შეფასდება.

პრეზენტაცია განაგრძო, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნინო სტეფანიშვილმა და განმარტა, რომ წარადგენდა ავტორიზაციის დებულებაში დაგეგმილ ცვლილებებს. კერძოდ, ცვლილებების შესაბამისად, მონიტორინგთან მიმართებაში დებულებაში დაკონკრეტდება ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მონიტორინგის ფორმები და მათი განხორციელების წესი. მოქმედ დებულებაში საკმაოდ ვრცელი ჩანაწერია მონიტორინგის მუხლთან დაკავშირებით, რითაც განსაზღვრულია წესი/ფორმა, თუმცა არ არის დაკონკრეტებული სამი ძირითადი ფორმა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა (სკოლაში ვიზიტის გარეშე), სკოლის მხრიდან ცენტრში დოკუმენტების წარდგენა ცენტრის მიერ მათი შესწავლის მიზნით.

საბჭოს შუამდგომლობით, ექსპერტთა ჯგუფის მონაწილეობით მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, სკოლა გადაიხდის მონიტორინგის საფასურს (რამდენადაც ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა ცენტრის მხრიდან ანაზღაურებადია). საბჭოს მიერ მონიტორინგის ფორმად სკოლაში ვიზიტის გარეშე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლის განსაზღვრის შემთხვევაში, სკოლა გადაიხდის მხოლოდ თბილისის, მცხეთის, რუსთავის მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ მონიტორინგის საფასურს, რამდენადაც ცენტრს არ წარმოეშობა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ გაზრდილი საფასურის გადახდის ვალდებულება. მეორე ტიპის მონიტორინგის შემთხვევაში, ასევე როდესაც ცენტრს ექნება შესაძლებლობა, რომ გადაამოწმოს ან/და შეისწავლოს საკითხი, არ იქნება სკოლისთვის ფასიანი მომსახურება. პროცესი ასეთია, ცენტრის თანამშრომლები შეისწავლიან საკითხს, შესაძლებელია რესურსცენტრის წარმომადგენელს ეთხოვოს გადაამოწმება კონკრეტული ინფორმაციის, მომზადდება შესაბამისი ანგარიში და წარედგინება საბჭოს. ამ ანგარიშს განიხილავს საბჭო და საჭიროების შემთხვევაში მას ექნება უფლებამოსილება მოითხოვოს საკითხის ექსპერტულად შესწავლა, დანიშნოს მონიტორინგ, ვიზიტით ან დოკუმენტების შესწავლით ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შესაბამისად, თუ ამ მიმართულებით წავა წარმოება, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფი იქნება ჩართული, ეს მომსახურები იქნება ფასიანი.

ნინო სტეფანიშვილმა ასევე ისაუბრა ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესულ ცვლილებაზე და შესაბამისად გამოწვეული ცვლილებების საჭიროებაზე. განმარტა, რომ იგეგმება, რომ შეიცვალოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტი. ასევე იგეგმება მოქმედ სტანდარტში არსებული მტკიცებულებების ნაწილის ამოღება. ეს არ გულისხმობს, რომ სკოლა არ წარმოადგენს მტკიცებულებას, არამედ ის თავად განსაზღვრავს ინდიკატორიდან გამომდინარე რა სახის მტკიცებულებას წარუდგენს.

ნინო სტეფანიშვილმა კიდევ ერთ ცვლილებაზე ისაუბრა, რომელიც წარმოების დასახელების ჩამოყალიბებას უკავშირდება. მოქმედ ავტორიზაციის დებულებაში იყო წარმოება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის ფართის მისამართის ცვლილება, წესი ასეთი დასახელებით იყო, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მიზნებისთვის დამოუკიდებელი პროგრამაა, სხვა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროგრამა, ამ წარმოების დროს როდესაც სკოლას, მაგალითად თბილისში რომ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და სურვილი აქვს რუსთაველიც განახორციელოს, ეს უკვე ცალკე პროგრამად განიხილება და პროგრამის დამატების წესით შემოდიოდა სკოლა, ეს არის პროგრამის ფართის ცვლილება, ამიტომ უფრო კონკრეტული რომ გამხდარიყო რა იგულისხმება პროგრამის ფართის ცვლილებაში, დაემატა ჩანაწერი „იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საქმიანობის წესი“. თვითონ წესი შინაარსობრივად არ იცვლება, უბრალოდ დაკონკრეტდა რა მოიაზრება ამაში.

კითხვა პასუხის ფორმატში, ირმა ქურდაძემ ითხოვა რესურსცენტრებთან დაკავშირებით, დაკონკრეტებულიყო/დაზუსტებულიყო რა ტიპის ანგარიშის დაწერა შეიძლება მოეთხოვოთ მონიტორინგის პროცესში. და ასევე, ივარაუდა, რომ რესურსცენტრების მომზადება იგეგმებოდა ამ მიმართულებით.

ნინო სტეფანიშვილმა განმარტა, რომ წინასწარ ზუსტად ვერ შეძლებდა იმის თქმა, რა შემთხვევაში დაჭირდებოდა ცენტრს რესურსცენტრის დახმარება. მან დასძინა, რომ ეს არ იქნებოდა დასკვნის შემუშავება, არამედ რესურსცენტრი მოახდენდა ცენტრის ინფორმირებას/ინფორმაციის დაზუსტებას, რაც არ საჭიროებს ექსპერტთა მთელი ჯგუფის ადგილზე ჩასვლას. შესაძლოა აღნიშნული არ ყოფილიყო საბჭოსთვის მისაღები და უფრო ღრმა ექსპერტული შეფასება გამხდარიყო საჭირო. ამ შემთხვევაში ცენტრს მიეცემოდა საბჭოსგან რეკომენდაცია და მიმართავდა მას შუამდგომლობით, კონკრეტულ დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

შემდეგი კითხვა დასვა შალვა მეკრავიშვილმა ავტორიზაციის საფასურის 50% შეღავათთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა, თუ როგორ გადაიხდიდა საფასურს საავტორიზაციო ვიზიტის დროს თბილისის სკოლა და რეგიონის სკოლები. პასუხად ნინო სტეფანიშვილმა განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი, რომელიც საავტორიზაციო განაცხადში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მიუთითებდა 170-ზე ნაკლებ ადგილს, ისარგებლებდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურით“ დადგენილი საფასურების 50%-იანი შეღავათით. აღნიშნულით ისარგებლობა შეეძლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს იმ შემთხვევაში, თუ ის არ იფუნქციონირებდა ქალაქ თბილისში.

რუსუდან სანაძემ კენჭისყრაზე დააყენა ცვლილებების მიღების საკითხი.

მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ქეთევან ციხისელმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში ცვლილებები. პროფესიული განათლების

მიმართულებით ავტორიზაციის დებულება და სტანდარტები 2020 წლის მარტში განახლდა. შესაბამისად უკვე მესამე წელი სრულდება, რაც ავტორიზაციის პროცესები განახლებული სტანდარტებითა და დებულებით მიმდინარეობს და პროცესების მსვლელობამ გამოკვეთა, რომ გარკვეული საკითხები, აღნიშნულ დოკუმენტებში საჭიროებს გადახედვას და განახლებული სახით ჩამოყალიბებას. შესაბამისად, პირველი ცვლილება ეხება დაწესებულების მიერ ვიზიტის ბრძანების გაცნობიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და თვითშეფასების ანგარიშში ცვლილებების განხორციელების საკითხს. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განათლება და ზოგადად, აღნიშნული სისტემა არის სწრაფად განახლებადი და დინამიური, ჩვენი მოსაზრებით დაწესებულებებს უნდა მივცეთ საშუალება დოკუმენტებში ნებისმიერ დროს განახორციელონ ცვლილებები და ვიზიტის დასრულებამდე წარუდგინონ ექსპერტთა ჯგუფს. თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია არ ექვემდებარება ცვლილებას. ვიზიტის დასრულების შემდეგ არც ექსპერტი და არც საბჭო ახალ შექმნილ დოკუმენტს აღარ განიხილავს და გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში არ იქნება მიღებული.

მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც იგეგმება არის დაწესებულებებისთვის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენასთან ერთად, ცენტრში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის საკითხი. ეს არის ის გეგმა, რომლითაც ის მონიტორინგის ვადებს თავისი შესაძლებლობების მიხედვით განსაზღვრავს და ასევე, ცვლილების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფს ექნება შესაძლებლობა, რომ დასკვნაში ასახოს ინფორმაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმის გაზიარების, ან არ გაზიარების შესახებ. შესაბამისად, ვალდებულება ექნება ექსპერტს, რომ დაასაბუთოს,, თუ რატომ მიიღო მხედველობაში და გაიზიარა ეს დოკუმენტი, ან რატომ არ მიიღო მხედველობაში და არ გაიზიარა ეს დოკუმენტი. ეს ეტაპი ყველა წარმოების ფარგლებში იქნება გათვალისწინებული, როგორც ავტორიზაციის, პროგრამის დამატების, ფართის ცვლილების, მონიტორინგის, ინტეგრირების და ა.შ. ზეპირი მოსმენის დროს საბჭო მხედველობაში მიიღებს მხოლოდ შესაბამისობის გეგმას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვა სახის დოკუმენტი მხედველობაში არ მიიღება.

ქეთევან ციხისელის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები დებულებაში განხორციელდეს იმგვარად, რომ საკვანძო საკითხები ერთნაირად იყოს ჩამოყალიბებული როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებებში.

შემდეგი ცვლილება ეხება ზეპირი მოსმენის გამოცხადების განრიგის გამოქვეყნების დროს, თუ საბჭოს რომელიმე წევრს ექნება ინტერესთა კონფლიქტი, ამ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, ის ვალდებული იქნება აცნობოს ცენტრს წერილობით ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ეს ვადა განისაზღვრა კვორუმის პრობლემის თავიდან ასაცილებლად. ამ ეტაპზე საბჭოში 10 წევრია და ამ ვადის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.

ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით, როდესაც ხორციელდება კვოტის გაზრდის, ფართის ცვლილების, ან ინტეგრირების წარმოება, შემოწმების ფარგლები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ბრძანებით. შესაბამისად, ზუსტად არის განსაზღვრული რომელ კომპონენტს და რომელ სტანდარტს ამოწმებს ჯგუფი. არსებული რედაქციაში, 51-ე მუხლის მე-4 პუნქტი არეგულირებს სხვა სტანდარტების დარღვევის ფაქტის ასახვა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში. აღნიშნული ჩანაწერი მცირედით დაზუსტება და ასევე, ამ სახის ჩანაწერები გაჩნდება ყველა ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, შესაბამის მარეგულირებელ მუხლებში.

რაც შეეხება ინფორმირების საკითხს, შედის მცირედი ცვლილება და დაწესებულება ვალდებული იქნება ავტორიზაციის პერიოდში ცენტრის ინფორმირება განახორციელოს იმ შემთხვევაში,

როდესაც ცვლილება შეეხება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ასახული პარამეტრის ცვლილებას.

მონიტორინგის მუხლში იგეგმება ცვლილებების განხორციელება, გაიმიჯნება და ჩამოყალიბდება მონიტორინგის სახეები. გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი და ასევე მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობით, ან ცენტრის ინიციატივით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეგმიური მონიტორინგის წლიური გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია აქტის გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას/საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ასევე, ცენტრის ინიციატივით ზუსტდება ვადებიც: ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის შესახებ დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ ან არაუმეტეს მონიტორინგის ვიზიტამდე 1 სამუშაო დღით ადრე. ხოლო, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის შესახებ დაწესებულებას ეგზავნება ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

ასევე, დაგეგმილი ცვლილების მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ექნება უფლება ცენტრს მიმართოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების ან საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელზეც მიმდინარეობს მონიტორინგის წარმოება.

ქეთი ციხისელმა აღნიშნა, რომ 2020 წლიდან მუშაობენ EQAVET-ის ინდიკატორების დანერგვასთან დაკავშირებით და ამ ეტაპზე, უკვე აქვთ 8 ინდიკატორი იდენტიფიცირებული, რომლებიც ინტეგრირდა სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების ფორმაში (მაგ. პროგრამის დამატება, რეავტორიზაცია და ა.შ). შესაბამისად, როდესაც საუბარია ავტორიზაციის სტანდარტებზე შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მეორე სტანდარტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას 2.3 კომპონენტში, რომელიც პროგრამის განვითარების საკითხს ეხება, დაწესებულება იქნება ვალდებული პროგრამის შეფასებისა და შემდეგ განვითარებისათვის გამოიყენოს აღნიშნული ინტეგრირებული EQAVET ინდიკატორები.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ წარდგენილ ცვლილებებზე კითხვები არ დასმულა. რუსუდან სანაძეს მიმართა საბჭოს წევრებს და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.


მომხრე 9

მოწინააღმდეგე 0

ლაშა მარგიშვილმა სხდომა დასრულებულად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განიხილეს, თანხმობა ყველაზე მიღებულია, მან კიდევ ერთხელ გადაუხადა ყველა დამსწრეს მადლობა კითხვებისთვის, რეკომენდაციებისთვის, რჩევებისთვის და თქვა, რომ რეკომენდაციებს მხედველობაში აუცილებლად მიიღებენ, გაითვალისწინებენ და შემდგომი სხდომისთვის ეცდებიან, რომ უკვე მოსაზრებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოადგინონ შემდგომი განსახილველი საკითხები.


საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:

რუსუდან სანაძე



საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი:

თათია უბერი



დანართი 1:

სახელი, გვარი	პოზიცია
რუსუდან სანაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
კაი ეტზოლდი	უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი
თეა გულუა	გაეროს განვითარების პროგრამის შვეიცარული აგრარული კოლეჯი კავკასია, პროექტის ექსპერტი
თამარ თოლორაია	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი
შალვა მეკრავიშვილი	სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ რუსთავის მე-2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
რუსუდან რუხაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
თამარ სამხარაძე	სსიპ - პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე
თათია უბერი	საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი
ირმა ქურდაძე	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ონლაინ სამუშაო შეხვედრა

Working Meeting of the Coordinating Council of the LEPL - National Center for Educational Quality Enhancement

შეხვედრის ბმული/meeting link:

<https://us02web.zoom.us/j/87605315325?pwd=Zk9PQXNIOGNRVkxudWNMMWYvR0VhQT09>

Meeting ID: 876 0531 5325

Passcode: 470758

15:00-17:20 საათი, 8 დეკემბერი, 2023 წელი

15:00-17:20 December 8, 2023

დღის წესრიგი / Agenda

დრო/Time	განსახილველი საკითხი / Discussion topic	მომხსენებელი/ Presenter	პოზიცია, ორგანიზაცია / Position, Organization
15:00 - 15:05	მისალმება Introduction	თამარ მახარაშვილი Tamar Makharashvili	დირექტორი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Director, National Center for Educational Quality Enhancement
		კახაბერ ერაძე Kakhaber Eradze	დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement
		ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement

15:05 - 15:20	2021-2025 წლების სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენა Introduction of the 2024 Action Plan Project for 2021-2025 Strategy	ლაშა ზივზივაძე Lasha Zivzivadze	Enhancement დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality
15:20-15:25	2024 წლის რიგითი საკოორდინაციო საბჭოს სხდომების ჩატარების სავარაუდო თარიღების შერჩევა Selection of the approximate dates for the regular Coordinating Council meetings in 2024	ლაშა ზივზივაძე Lasha Zivzivadze	Enhancement დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality Enhancement
15:25- 15:30	პროფესიული განათლების ორგანიზაციების ევროპულ ასოციაციაში (EVBB) გაწევრიანების თაობაზე Membership of European Association of Institutes for Vocational Training (EVBB)	ლაშა ზივზივაძე Lasha Zivzivadze	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality Enhancement
15:30 - 15:35	კითხვა-პასუხი/ Questions and Answers		
15:35- 15:50	თემატური ანალიზის შედეგების გაცნობა: „სამ წელიწადში ერთხელ ცენტრში წარმოსადგენი შუალედური თვითშეფასების ანგარიშების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასების	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

	<p>თემატური ანალიზის შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინების სამომავლო ხედვა“</p> <p>Introduction results of the thematic analysis: "3-year progress reports – their goal, evaluation and efficiency"</p>	<p>Nikoloz Parjanadze</p>	<p>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Higher Education Quality Assurance Department, National Center for Educational Quality Enhancement</p>
<p>15:50 - 16:00</p>	<p>კანონში განსახორციელებელი ცვლილებების წარდგენა: „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით აკრედიტაციის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებები“</p> <p>Introduction of the Changes on the "Changes to be implemented in the Accreditation Regulation regarding the accreditation of the special teacher training educational program"</p>	<p>ნიკოლოზ ფარჯანაძე</p> <p>Nikoloz Parjanadze</p>	<p>უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Higher Education Quality Assurance Department, National Center for Educational Quality Enhancement</p>
<p>16:00- 16:05</p>	<p>კითხვა-პასუხი/ Questions and Answers</p>		
<p>16:05- 16:15</p>	<p>ცენტრის 2024 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების პროექტების წარდგენა</p> <p>Introduction of the main parameters of the Center's Budget 2024</p>	<p>მაია კალანდაძე</p> <p>Maia Kalandadze</p>	<p>ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Financial Department, National Center for Educational Quality Enhancement</p>

კითხვა-პასუხი/ Questions and Answers			
16:15 - 16:20			
16:20 - 16:30	<p>შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის წარდგენა</p> <p>Draft Introduction of the labor safety and health protection policy document</p>	<p>სოფიო მგალობლიშვილი</p> <p>Sophio Mgaloblishvili</p>	<p>შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Labor safety specialist, National Center for Educational Quality Enhancement</p>
16:30 - 16:35			
კითხვა-პასუხი/ Questions and Answers			
16:35 - 16:50	<p>ცვლილებების პროექტის წარდგენა: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პროექტი</p> <p>Introduction of the draft amendments: "On the provision of authorization of educational institutions and the approval of fees" by the Minister of Education and Science of Georgia, dated October 10, 2010 No. 99/N</p>	<p>თამარ რატიანიძე ნინო სტეფანიშვილი</p> <p>Tamar Ratianidze Nino Stefanishvili</p>	<p>ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კოორდინატორი, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კოორდინატორი</p> <p>სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Coordinator of General Education Quality Assurance Department, Coordinator of General Education Quality Assurance Department LEPL – National Center for Educational Quality Enhancement</p>
16:50- 16:55			
კითხვა-პასუხი/ Questions and Answers			
16:55 - 17:10	<p>ცვლილებების პროექტის წარდგენა: "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში დაგეგმილ ცვლილების შესახებ</p>	<p>ქეთევან ციხისელი</p> <p>Ketevan Tsikhiseli</p>	<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p>

	<p>Introduction of the draft amendments: "On the provision of authorization of educational institutions and approval of fees" on the planned changes in the order of the Minister of Education and Science of Georgia, dated October 1, 2010 No. 99/N.</p>		<p>Deputy Head of VET Quality Assurance Department, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement</p>
17:10 – 17:15	<p>კითხვა-პასუხი / Questions and Answers</p>		
17:15– 17:20	<p>სამუშაო შეხვედრის შეჯამება / Wrap Up</p>		